ნინო ბესელია
სამოქალაქო განათლების ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ ,, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი სამოქალაქო განათლებაში:
„პასუხისმგებლობის განვითარება მოსწავლეებში“.

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებების (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) გათვალისწინებით.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის თემაზე - **„პასუხისმგებლობის განვითარება მოსწავლეებში“.**

მასტერ კლასის თემატიკა:

1. პასუხისმგებლობები ოჯახში (წინააღმდეგოგები და გამოსავლის ძიება);
2. რატომ უნდა ემორჩილებოდნენ ადამიანები კანონებს? (რა არის კანონმორჩილების ძირითადი მიზეზები?)
3. ეს ვისი პრობლემაა? (როგორ ხდება სოციალური პასუხისმგებლობების განაწილება?)
4. რატომ იქცევა ადამიანი აქტიურ მოქლაქედ? (რატომ სურთ ადამიანებს საზოგადოების შეცვლა და როგორ შეუძლიათ ამის მიღწევა?)

მასტერ კლასის შედეგად:

- მონაწილეები გაეცნობიან მოქალაქეთა სხვადასხვა პასუხისმგებლობას;
- გაიაზრებენ მოქლაქეთა იურიდიულ, პოლპტიკურ, ზნეობრივ-მორალურ პასუხისმგებლობებისს არსს:
- გაიაზრებენ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანმა აიღოს პასუხისმგებლობა სოციალურ ცვლილებებზე;
- მონაწილეები გაეცნობიან დილემური სწავლების მეთოდს.
- აღნიშნული თემატიკის გაცნობა და ათვისება მოხდება ტრენერის მიერ ჩატარებული სამოდელო გაკვეთილების საშუალებით.